ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №4

2023 წლის 6 მარტი

ქ. ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხაბუმის ადმინისტრაციული ერთეულში სოფელ მოიდანახის მე-20 ქუჩის სახელდების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის „ე“, მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ხაბუმის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ტარიელ შენგელიას 2022 წლის 22 სექტემბრის N:111-111222652 მოხსენებითი ბარათის და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის თანხმობის (2023 წლის 8 თებერვლის №35 ოქმი) საფუძველზე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ხაბუმის ადმინისტრაციული ერთეულში სოფელ მოიდანახის მე-20 ქუჩას და მასთან არსებულ ექვს ჩიხს მიენიჭოს „ერასტი როდონაიას“-ს სახელი (ორთოფოტი თან ერთვის).

2. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში), ცნობარების და სხვ. დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვა).

3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გაუგზავნოს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლაღიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე შოთა წურწუმია

ქუჩის I ჩიხი
X_267679
Y_4714431
ერასტი როდონაიას ქუჩის II ჩიხი
ერასტი როდონაიას ქუჩა
ერასტი როდონაიას ქუჩის III ჩიხი
X_266779
Y_4713367
X_267411
Y_4713953
ერასტი როდონაიას ქუჩის V ჩიხი
ერასტი როდონაიას ქუჩის IV ჩიხი
X_266806
Y_4713386
X_266537
Y_4713256
ერასტი როდონაიას ქუჩის VI ჩიხი
X_266711
Y_4713290